ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№52. 522416626

თარიღი:14/06/2024

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.15.62.007.613) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ლევან ლეჟავამ პ/ნ 01008010107 და წარმოდგენილი საწყისი მონაცემების საფუძველზე მოითხოვა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.15.62.007.613) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციატივის განხილვა. როგოც წარმოდგენილი ინიცირების საფუძველი დოკუმენტაიის განხილვით ირკვევა, რომ დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება განაშენიანების გეგმით დადგენილი პირობით, რაც გულისხმობს ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სასტუმრო ტიპის კომპექსის მშენებლობას.

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ სავარაუდო გეგმარებითი ერთეული მდებარეობს გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე და ინიცირების მომენტისთვის მასზე არ ვრცელდება დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე რეჟიმი/ რეგლამენტი. აგრეთვე, სავარაუდო გეგმარებით ერთეულზე ან მის მიმდებარედ მუნიციპალიტეტს/ სახელმწიფოს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ქალაქთმშენებლობით ღონისძიენა და/ან მსხვილი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ამ ბრძანების დანართი N1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე მრავალფუნქციური სასტუმროს ტიპის კომპექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოსორგანულიკანონი „ადგილობრივითვითმმართველობისკოდექსი“-ს 54-ემუხლის 1-ლიპუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავეპუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, იმავეკანონის 61-ემუხლისმე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისდა 62-ემუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ის 35-ე, 43-ე და47-ემუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ საფუძველზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2024 წლის 10 აპრილის N04/466 წერილისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის გ-53.5324152001 განკარგულების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული გეგმარებით ერთეულისთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი N2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. გაფორმდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება ლევან ლეჟავასთან პ/ნ 01008010107, ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშვებულ იქნეს ამ ბრძნების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

5. განემარტოს დაინტერესებულ პირს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო კოეფიციენტები და საპროექტო ობიექტების სართულიანობა უნდა დაზუსტდეს მომზადებული კვლევების საფუძველზე, კონცეფციის შემუშავების ეტაპზე.

6. განემარტოს დაინტერესებულ პირს, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია საინფორმაციო დაფაზე მან უნდა განათავსოს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილას, ადმინისტრაციული წაარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ც. დადიანის ქ. N15).

ემზარი კუჭუაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი